საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-479

04/06/2019

ქ. თბილისი

„შპს „ეკო ჯგუფი“-ს სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 18 იანვრის №ი-27 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2019 წლის 28 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ეკო ჯგუფის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2017 წელს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ეკო ჯგუფის“ სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №6; 18.01.2017; ქ. თბილისი, მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორია).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრიდან აღარ მიმდინარეობს ნარჩენების ინსინერაცია და შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას. განცხადებასთან ერთად კომპანიამ წარმოადგინა ინსინერატორის ლიკვიდაციის გეგმა და ინვენტარიზაციის აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ეკო ჯგუფი“-ს სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 18 იანვრის №ი-27 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ეკო ჯგუფს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეკო ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი